№1822 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ**

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის $6^3$ მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. ქუთაისში, კ. გამსახურდიას ქუჩა №63-ში (ნაკვ. №1) მდებარე 5986 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები: №1 - 3098.31 კვ.მ, №2 – 14.96 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №03.05.25.385), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე 5 000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №26.28.21.083) და წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეშთაშენში მდებარე 100 474 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №85.03.29.304) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**